IV თავი

სტუდენტის სწავლის დაფინანსება და შეღავათები ბსუ-ს ბიუჯეტიდან

ბსუ-ს ბიუჯეტიდან სტუდენტის სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 3)**

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები). სტუდენტის მიერ შესაბამისი განცხადებისა და დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (დაფინანსების/შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და განხორციელების წესს) შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) სრულად ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ფაკულტეტების სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილისწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს, ხოლო ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა - 1000 (ათასი) ლარს.
ბსუ-ს სტუდენტის სწავლის საფასური შეიძლება დაიფაროს ბსუ-ს ბიუჯეტიდან, თუკი პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბსუ-სთვის პროგრამული დაფინანსების მოცულობის ფარგლებში (დადგენილი კვოტის - დასაფინანსებელი სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში) ჩაირიცხება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების შედეგად ან აღდგენილი იქნება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსში (შეჩერებული სტატუსის მქონე) და ბსუ-ს იღებს (ან უკვე მიღებული აქვს) შესაბამისი ოდენობით პროგრამული დაფინანსება.